

ქალთა როლის გაძლიერების გამოწვევები სამუშაო ადგილზე,  
საქართველოში, სასტუმროების ბიზნესში

ყიფიანი სოფიო  
კალატოზიშვილი გიორგი  
მეგრელიშვილი ნელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება და მენეჯმენტი  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გივი ჭანუყვაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2020 წ.

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
შესავალი.....	4
პრობლემა და კონტექსტი .....	7
კვლევის მნიშვნელობა.....	9
კვლევის მიზანი .....	11
ჰიპოთეზა .....	13
კვლევის მეთოდოლოგია .....	14
ლიტერატურის მიმოხილვა.....	15
გენდერული სტერეოტიპები - ისტორიული მიმოხილვა .....	15
გენდერული თანასწორობის პრობლემები სამუშაო ადგილზე - ისტორიული მიმოხილვა.....	20
პროფესიების დაყოფა ქალისა და კაცის მიხედვით.....	25
რატომ არის კარგი გენდერული თანასწორობა ბიზნესისთვის .....	27
ქალთა როლის გაძლიერების პროგრამები მსოფლიოს პრაქტიკა.....	30
ქალთა როლის გაძლიერების პროგრამები საქართველოს ბაზარზე.....	34
ქალთა როლის გაძლიერების გამოწვევები.....	37
კვლევის შედეგები.....	40
რაოდენობრივი კვლევის შედეგების აღწერა.....	40
თვისობრივი კვლევის შედეგების აღწერა.....	50
დასკვნა .....	53
რეკომენდაციები .....	55
ბიბლიოგრაფია .....	57
დანართები.....	59

## აბსტრაქტი

ჩვენი კვლევა წარმოდგენილია ქალთა როლის გაძლიერებაზე და მიმოხილულია საქართველოს მაგალითებზე, ხოლო დავიწროებულია სასტუმროების ინდუსტრიის მიმართულებით. ნაშრომი აქცენტს აკეთებს ძირითადად იმ სირთულეებსა და დაბრკოლებებზე, რასაც მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები ხვდებიან კარიერული წარმატების გზაზე და ამასთანავე, იმ სტერეოტიპებსა თუ სხვა ფაქტორებზე რის გამოც აღნიშნული გარემოება დგას დღევანდელ ქართულ შრომის ბაზარზე.

ნაშრომში საუბარია იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გენდერის მიმართ არასწორმა სტერეოტიპულმა წარმოდგენებმა წარმოშვას, რამაც თავის მხრივ ზემოქმედება მოახდინოს დასაქმებულების წარმატების ფაქტორებზე. ამასთანავე, კვლევა განიხილავს ორგანიზაციების მხრიდან წარმოშობილ დაბრკოლებებს და დეტალურად აანალიზებს იმ საშუალებებს, რაც შეიძლება უკეთესად გაკეთდეს კომპანიების მხრიდან იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს თანასწორი გარემო ყველა დასაქმებულისათვის.

ნაშრომში მიმოხილულია საერთაშორისო თუ ადგილობრივი ისტორიული გამოცდილებები და მაგალითები, რომლებიც პირველ რიგში, გვებმარება დავინახოთ რამდენად მნიშვნელოვანია ზოგადად გენდერული თანასწორობა სამუშაო ადგილზე და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის და ასევე, მოგვეცა საშუალება, რომ გავცნობოდით იმ საუკეთესო პრაქტიკებს, რითიც წარმატებულმა კომპანიებმა და ქვეყნებმა გააუმჯობესეს მრავალფეროვნებისა და ჩართულობის ხარისხი სამუშაო ადგილზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** სასტუმროს ბიზნესი, ქალთა როლის გაძლიერება, გენდერული თანასწორობა, ქალები საქართველოში, გენდერული სტერეოტიპები, სტუმარმასპინძლობის ბიზნესი, საქართველოს შრომის ბაზარი, საქართველოს ეკონომიკა.